

АНТИ- და ПРОТИВО- მორფემებით ნაწარმოებ რუსულ
ტერმინთა შესატყვისები ქართულ სამეცნიერო
ტერმინოლოგიაში

სამეცნიერო ტერმინოლოგიურ სისტემებში სტრუქტურული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ისეთი რთული სიტყვები, რომლებიც შედგენილობის მიხედვით ცალკე ჯგუფს ქმნიან. ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობისა ყოფილა (შესაძლოა, ეს მნიშვნელობა მას დღესაც არ ჰქონდეს დაკარგული), მაგრამ დროთა განმავლობაში ეს დამოუკიდებლობა დაუკარგავს და სიტყვის მაწარმოებელ აფიქსად ქცეულა. ამედანაა ამ სიტყვის მაწარმოებელი ელემენტის სახელწოდებაც — აფიქსოიდი (აფიქსი+ლათ. *oid* „მსგავსი“), ე. ი. აფიქსის მსგავსი, აფიქსისნაირი. რადგანაც ასეთი ელემენტები, ჩვეულებრივ, ბერძნულ-ლათინური წარმომავლობისაა და თითქმის ყველა ენაშია გავრცელებული, მათ საერთაშორისო აფიქსოიდებს ანუ საერთაშორისო ტერმინ ელემენტებს უწოდებენ.

ამგვარად, აფიქსოიდებია: ულტრა-, მიკრო-, მაკრო-, ანტი-, სუპერ-, ავტო-, ჰიდრო- და ა. შ. (ულტრასხივები, მიკროტალღა, მაკროსხეული, ანტიმეცნიერება, სუპერჯგუფური, ავტოსადგური, ჰიდროძრავა).

აფიქსოიდი შეიძლება არა მარტო თავში დაერთოდეს სიტყვას, არამედ ბოლოშიც. ამისდა მიხედვით აფიქსოიდები ჰრეფიქსოიდებად და სუფიქსოიდებად იყოფა. შემოთ პრეფიქსოიდების მაგალითები იყო დასახელებული. სუფიქსოიდებია: -გრაფი, -გრაფია, -ლოგი, -ლოგია, -მეტრი, -მეტრია, -სკოპი, -სკოპია (სეისმოგრაფი, სპექტროგრაფი, ანემოგრაფი; ბიბლიოგრაფია, დემოგრაფია, კოსმოგრაფია; ანთროპოლოგია, ზოოლოგია, არქეოლოგია; ანთროპოლოგია, ზოოლოგია, არქეოლოგია; ანემომეტრი, ბარომეტრი, სპექტრომეტრი; ანემომეტრია; კალენდოსკოპი, მიკროსკოპი; ბრონქოსკოპია, მიკროსკოპია).

ქართულში აფიქსოიდები სხვადასხვა კომბინაციაში შეიძლება შეგვხედეს. ისინი ხან უცხოურ ფუძეს დაერთვიან, ხან კი — ქართულს.

შდრ., ერთი მხრით: ულტრასხივები, ულტრაბგერა, ულტრამაღალი... და, მეორე მხრით: ულტრამიკროსკოპი, ულტრაოპტიმეტრი, ულტრაფილტრი და ა. შ. ანდა: მიკრომარცვლოვანი, მიკროსასწორი, მიკროწამი... და: მიკროკოროზია, მიკროვოლტი, მიკროელემენტი, მიკროდეფექტი და სხვ. აფექსოიდები მრავალრიცხოვანია. სპეციალური ლექსიკონიც კი არსებობს ნ. იუშმანოვისა „Элементы международной терминологии“ (1963 წ.), რომელშიც 1150 ასეთი აფექსოიდი თავმოყრილი. აფექსოიდებით ნაწარმოები სიტყვები სხვადასხვა ენის ტერმინოლოგიურ ლექსიკაში დიდი რაოდენობით გვხვდება. ფართო გავრცელებისაა იგი ქართულშიც.

წინამდებარე სტატიაში მსჯელობის საგანია ერთ-ერთი ასეთი აფექსოიდი, კერძოდ, საერთაშორისო ANTI- აფექსოიდი და მისი რუსული და ქართული შესატყვისები.

წინასწარ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: სხვადასხვა ენის ტერმინოლოგიურ სისტემებში შეიმჩნევა ტენდენცია ამ საერთაშორისო აფექსოიდების ამა თუ იმ ენაზე თარგმნისა. ასე მაგალითად, რომელიმე супер- აფექსოიდი რუსულად СВЕРХ- მორფემით არის თარგმნილი, ხოლო ქართულად მას -ზე თანდებული შეესატყვისება. შდრ.: супермодуляция, сверхмодуляция ზემოდულაცია.

ამგვარად, ქართულ ენაში ორი პარალელური ვარიანტი შეიძლება არსებობდეს: საერთაშორისო და ნათარგმნი. ANTI- აფექსოიდის შესატყვისად რუსულში ПРОТИВО- იხმარება, ქართულში საწინააღმდეგოს წინაღი გამოიყენება, რომლებიც რთული სიტყვის — საწინააღმდეგოს გამარტივებულ ფორმებს წარმოადგენს. მაგალითად: АНТИОКИСЛИТЕЛЬНЫЙ, ПРОТИВООКИСЛИТЕЛЬНЫЙ და შესაბამისად ქართულში — ანტიმჟანგავი და ჟანგვასაწინააღმდეგო.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ANTI- და მისი ქართულ-რუსული ეკვივალენტები ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში სინონიმური აფექსოიდებია, მათ ძირითადად ხმარების თავ-თავიანთი სფერო აქვთ: ANTI- უმთავრესად უცხო წარმომავლობის ძირებთან იხმარება (АНТИПОД — ანტიპოდი, АНТИРЕЗОНАНС — ანტირეზონანსი, АНТИСЕПТИК — ანტისეპტიკი) და რუსულ ძირებთან კომბინაციაში იშვიათად გვხვდება (АНТИНАКИПИН, АНТИОБЛЕДЕНИТЕЛЬ, АНТИШУМОВОЙ). კიდევ უფრო იშვიათია მისი ხმარება ქართულ ძირებთან: ანტიხალხური, ანტიმეცნიერული, ანტისაზოგადოებრივი. ტექნიკური ტერმინოლოგიის მთელს მასალაში ამ გზით ნაწარმოები ერთადერთი მაგალითი გვაქვს — ანტიშემომყინავი, ასეთი ჰიბრიდული წარმოება არც საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკაში არის გავრცელებული.

რუსული **противо-** და **ქართული საწინაღო და წინაღი**, ჩვეულებრივ, რუსულ და ქართულ ძირებთან გვხვდება (**противоток, противоугон, противогрозовой, противопомеха**, ქართულში: **მეხსაწინაღო, რხევასაწინაღო, ძვრაწინაღი** და ა. შ.).

противо-ცა და **წინაღაც** ანუ **საწინაღო** უცხო ძირებთან ნაკლებად იხმარება: **противогаз, противоэлемент, противолокационный**, ქართულში: **კოროზიასაწინაღო, ლოკაციისაწინაღო, წინაღელემენტი**.

ამგვარად, ბუნებრივი კანონზომიერება ასეთია: უცხოური **анти-**უცხო ძირებთან გვხვდება, მისი ეკვივალენტები მსესხებელ ენებზე — **противо-** და **საწინაღო/წინაღი** შესაბამისად რუსულსა და ქართულ ძირებთან გამოიყენება.

ერთსა და იმავე ძირთან ამ ორი აფიქსიდიის მონაცვლეობა სულ ორიოდ მაგალითით განისაზღვრება (შდრ. **антиокислитель, противокислитель ჟანგვაწინაღი; антикоррозионный, противокоррозионный — კოროზიისაწინაღო**).

როდესაც ქართულში ამ აფიქსიდეებით წარმოებაზე ვლაპარაკობთ, ხაზგასმით უნდა იქნეს გამიჯნული საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკა და ტერმინოლოგიური ლექსიკა.

უცხოური აფიქსიდი **анти-** სალიტერატურო ქართულში, ისევე როგორც ტერმინოლოგიაში, შეიძლება უთარგმნელადაც შეგვხვდეს (**ანტიმეცნიერული, ანტიხალხური, ანტისაზოგადოებრივი**), რუსული **противо-**ს შესატყვისად კი სხვადასხვა საშუალებებია გამოყენებული. იგი ხან ლექსიკურად, ხან აღწერით, ანუ სინტაქსური გზით, ხან კი წარმოების სხვა საშუალებებითაა გადმოცემული. მაგალითად: **противолежащий — მოპირდაპირე, მოპირისპირე; противопоставление — დაპირისპირება, противодействие — უკუქმედება, противоестественный — არაბუნებრივი, противозаконный — არაკანონიერი, противостоять — წინააღმდეგობის გაწევა** და ა. შ.

საკუთრივ ტერმინოლოგიურ ლექსიკაში უცხოური **анти-**სა და რუსული **противо-**ს შესატყვისად, როგორც უკვე აღინიშნა, **საწინაღო** და **წინაღი** გვხვდება.

ამ ორი პარალელური ფორმის ფუნქცია განსხვავებულია: **საწინაღო** — თვისების კატეგორიის გამომხატველი ტერმინების აღმნიშვნელია, ხოლო **წინაღი** — საგნების კატეგორიისა. გრამატიკის ენაზე რომ ვთქვათ, **საწინაღო-**დართული ფორმები ზედსართავი სახელებია (**მეხსაწინაღო — противогрозовой, რხევასაწინაღო — противоколебательный, დაბრკოლებასაწინაღო — противопомеховый, ნისლსაწინაღო — противотуманный, ტანკაწინაღო — противотанковый** და მისთ.) **წინაღი-**იანი კი —

არსებითი სახელები (აირწინალი — противогаз, ძვრაწინალი — противогон, წინაღდენი — противоток, წინაღელემენტი — противоэлемент).

წინაღ- ელემენტი სიტყვაში პოზიციურად მერყევია: იგი ხან წინ ერთვის რთული სიტყვის კომპონენტს (противоток—წინაღდენი, противоэлемент—წინაღელემენტი), ხან მოსდევს (противогаз—აირწინალი, противогон—ძვრაწინალი, противоядие—შხამწინალი).

ამ თვალსაზრისით საწინაღო უფრო მყარი პოზიციისაა: იგი მხოლოდ სიტყვის მეორე ნაწილად იხმარება, მაგრამ დაწერილობის მიხედვით ერთ ორთოგრაფიულ წესს არ მისდევს. სპეციალურ ლექსიკონებში ფიქსირებული მასალის მიხედვით მისი დაწერილობის სამი შემთხვევა დასტურდება:

ა) საწინაღო დაერთვის ფუძეს და მასთან შერწყმულად იწერება (ამიაკსაწინაღო, ატომსაწინაღო, რხევასაწინაღო, ძვრასაწინაღო);

ბ) საწინაღო დაერთვის გაფორმებულ ფუძეს (ნათესაობითის ფორმას) და მასთან შერწყმულად იწერება (ისრიხსაწინაღო, ფილტრაციის-საწინაღო, ლოკაციისსაწინაღო, გაქანებისსაწინაღო);

გ) საწინაღო დაერთვის გაფორმებულ ფუძეს (ნათ. პრ. ფორმას) და ცალკე იწერება (კოროზიის საწინაღო, უკუგორვის საწინაღო).

კონკრეტული მაგალითები, როდესაც ერთ რუსულ ტერმინს რამდენიმე ქართული ორთოგრაფიული ვარიანტი შეესატყვისება, ასეთია:

противолокационный	— ლოკაცია საწინაღო (ტ. ტ. 1957) ლოკაციისსაწინაღო (ტ. ტ. 1977)
противокоррозийный	— კოროზიისაწინაღო (ტ. ტ. 1957, ქიმ. ტ. 1970; ავტ. ტრ. ტ.) კოროზიის საწინაღო (ტ. ტ. 1977)
противофильтрационный	— ფილტრაციის საწინაღო (ტ. ტ. 1957) ფილტრაციისსაწინაღო (ტ. ტ. 1977)
противооткатный	— უკუგორვის საწინაღო (ტ. ტ. 1977) უკუგორვისსაწინაღო (ავტ. ტრ. ტ.)

ბუნებრივია, ასეთი ორთოგრაფიული სიჭრელე ნორმატიული ლექსიკონისათვის დაუშვებელია. ზემოთ დასახელებული შემთხვევებისათვის უთუოდ ერთი წესი უნდა იყოს მიღებული.

ჩვენი აზრით, ტერმინად გამოყენებისას მიზანშეწონილი იქნებოდა ამგვარი შედგენილობის ტერმინთა თუ ტერმინოლოგიურ გამათქმამე

პირველი კომპონენტი (იმისდა მიუხედავად, ხმოვანფუძიანი იქნება ის თუ თანხმოვანფუძიანი) ფუძის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი ყველა შემთხვევაში და მას უშუალოდ შერწყმოდა აფიქსოიდი (მაგ., ატომსაწინალო, ძვრასაწინალო, ისარსაწინალო, კოროზიასაწინალო, ფილტრაციასაწინალო და სხვ.).

ამგვარ ტერმინებს მეტი სტრუქტურული ერთიანობაც ექნებოდათ და ეკონომიურობის თვალსაზრისითაც შესაძლებელია უფრო მარჯვედ გამოსაყენებელი ყოფილიყო.